

ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანა



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№-202 კოლ

14 ივნისი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ

კონსტანტინე კუბლაშვილის თავმჯდომარეობითა და
მიხეილ გოგიშვილის,
ზაზა მეიშვილის,
მაია ვაჩაძის,
დავით სულაქველიძის (მომხსენებელი),
იური ტყეშელაშვილის,
ნუნუ კვანტალიანის,
ნინო ქადაგიძის,
მაია ოშხარელის შემადგენლობით

სხდომის მდივნის – გ. ბუხრაშვილის
პროკურორების – რ. ჩ.-ის, ვ. რ.-ის
ადვოკატ – ზ. ნ.-იას

მონაწილეობით განიხილა მცხეთის რაიონული პროკურორის მოადგილის – ზ. დ.-ისა და მსჯავრდებულ გ. ც.-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ლ.-ის საკასაციო საჩივრები თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენზე, რომლითაც გ. ც.-მე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

საბრალდებო დასკვნით გ. ც.-ძეს, დაბადებულს წლის, საქართველოს მოქალაქეს, განათლების მქონეს, ცოლშვილიანს, ნასამართლობის არმქონეს, მცხოვრებს ქ. თბილისში, ამჟამად წინასწარ პატიმრობაში მყოფს, ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულთა ჩადენაში როგორცაა: განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა, აგრეთვე, არაერთგზის საქართველოში ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოტანა, რაც გამოიხატა შემდეგში:

1992 წლიდან 2004 წლის 12 ივლისამდე გ. ც.-ძე მუშაობდა საქართველოს ში. აღნიშნულში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ, მინისტრის 2004 წლის 10 ივლისის №..... ბრძანების საფუძველზე, 2004 წლის 12 ივლისიდან აყვანილია კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის მთავარი სამმართველოს განკარგულებაში.

გ. ც.-ძე 2004 წლის 4 აგვისტოს სათანადოდ გაფორმებული ვიზის საფუძველზე ჩავიდაში, ქ.ში, სადაც შეიძინა 1995 წელს გამოშვებული „ოპელ-ასტრას“ მარკის სპორტული მოდელის ავტომანქანა სახელმწიფო სანომრე ნიშნებით-..... ავტომანქანის შექმნის შემდეგ მან განიზრახა საქართველოში ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოტანა. ამ მიზნით, მანშივე, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინის შემცველი პრეპარატ „სუბოტექსი 8 მგ“-ს 194 აბი, რომელიც ქარხნული წესით დაფასოებული იყო 28 ცალ ფირფიტაში. აქედან 26 ფირფიტაში მოთავსებული იყო თითოში 7 აბი, ხოლო 2 ფირფიტაში – თითოში 6 აბი.

გ. ც.-ძემ უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული საშუალება დამალა მის მიერში ნაყიდ „ოპელ-ასტრას“ მარკის ავტომანქანის საბარგულში – მარცხენა, უკანა მანათობელი ფარის ბუდეში მოწყობილ სამალავში, რასაც უკანონოდ ინახავდა და გადაჰქონდა. გ. ც.-ძემ აღნიშნული ავტომანქანით 2004 წლის 10 აგვისტოს,ის მხრიდან სარფის საბაჟოს გავლით, ფარულად და უკანონოდ შემოიტანა საქართველოში მის მიერ საზღვარგარეთ შექმნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 1, 522 გრამი ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინის შემცველი 194 აბი პრეპარატი „სუბოტექსი 8 მგ“.

მას შემდეგ, რაც გ. ც.-ძემ 2004 წლის 10 აგვისტოს საზღვარგარეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინის შემცველი პრეპარატ „სუბოტექსი 8 მგ“-ის 194 აბი, რომელიც უკანონოდ შექმნილი და შენახული ჰქონდა მისი მართვის ქვეშე მყოფ, ასევე საზღვარგარეთ ნაყიდ „ოპელ-ასტრას“ მარკის სახ. №..... -..... ავტომანქანის საბარგულში, მარცხენა მხარეს, უკანა მანათობელი ფარის ბუდეში მოწყობილ სამალავში და უკანონოდ გადაზიდავდა, 2004 წლის 11 აგვისტოს მან ასევე უკანონოდ, არაერთგზის განაგრძო აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვა თავისი მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანის საბარგულით ბათუმიდან თბილისის მიმართულებით. 2004 წლის 11 აგვისტოს,

დილის 8 საათზე,ის რაიონის ტერიტორიაზე, ყოფილი ავტონისპექციისის საგუშაგოზე, იგი შემოწმების მიზნით გააჩერეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა და გ. ც.-ის მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას, ავტომანქანის საბარგულში მოწყობილი სამალავიდან, ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 1, 552 გრამი ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინის შემცველი პრეპარატ „სუბოტექსი 8 მგ-ის“ 194 აბი.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე გ. ც.-ის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია).

გ. ც.-ის ბრალდების საქმე განიხილა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც განსასჯელი საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, ხოლო იმავე განაჩენით იგი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი ბრალდების მიხედვით. განაჩენის მიხედვით, აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

გ. ც.-მა, დაუდგენელ დროსა და დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 1, 552 გრამი ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინის შემცველი 194 აბი პრეპარატი „სუბოტექსი 8 მგ“. მანვე უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკული საშუალება დამალა მის მიერში ნაყიდ „ოპელ-ასტრას“ მარკის ავტომანქანის საბარგულში, მარცხენა, უკანა მანათობელი ფარის ბუდეში მოწყობილ სამალავში, რასაც უკანონოდ ინახავდა და გადაჰქონდა. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება პოლიციის თანამშრომლების მიერ მისი ავტომანქანის ჩხრეკისას, 2004 წლის 11 აგვისტოს, ამოღებულ იქნაის რაიონის ტერიტორიაზე ყოფილი ავტონისპექციისის საგუშაგოზე, რითაც მან ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გადაზიდვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

სასამართლომ ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ გ. ც.-ს სსსჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 (თორმეტი) წლის ვადით მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

აღნიშნული განაჩენის თაობაზე მცხეთის რაიონული პროკურორის მოადგილემ – ზ. დ.-მა და მსჯავრდებულ გ. ც.-ის დამცველმა, ადვოკატმა შ. ლ.-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

სახელმწიფო ბრალმდებელი თავისი საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და გ. ც.-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნებას ახალი განხილვისათვის, ვინაიდან მიაჩნია, რომ სასამართლომ გ. ც.-ზე უსაფუძვლოდ გაამართლა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით წარდგენილ ბრალდებაში, ამასთან, მას დაუნიშნა ამკარად ლმობიერი სასჯელი, რაც არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მისი ჩამდენი პიროვნების საშიშროებას.

ადვოკატი შ. ლ.-ძე თავისი საჩივრით ითხოვს სასამართლო კოლეგიის განაჩენის გაუქმებასა და გ. ც.-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ სასამართლომ გ. ც.-ძეს სრულიად უსაფუძვლოდ დასდო მსჯავრი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ვინაიდან საამისოდ საქმეში არ მოიპოვება საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 მარტის განჩინებით ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრები განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს სსსკ-ის 549-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ გ. ც.-ძის დამცველმა, ადვოკატმა ზ. ნ.-ამ მხარი დაუჭირა ადვოკატ შ. ლ.-ის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

თავის განმარტებაში გ. ც.-ძის ბრალდების საქმესთან მიმართებით მან ყურადღება გაამახვილა ორ მომენტზე, რომელთაგან ერთი ეხება აღნიშნული საქმის ფორმალურ-სამართლებრივ მხარეს, ხოლო მეორე კი – არსებითს, მსჯავრდებულის ბრალეულობის თვალსაზრისით.

ადვოკატმა ზ. ნ.-ამ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალა მსჯავრდებულ გ. ც.-ძის მიმართ ეფუძნება უკანონო საპროცესო აქტებსა და არაუფლებამოსილი პირების მიერ ანუ საპროცესო კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. მას მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ 2004 წლის 12 აგვისტოს, როდესაც გ. ც.-ძის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, იგი დაიკითხა ბრალდებულის სახით, მოცემულ საქმეზე გამოძიების მწარმოებელი პირები, რაიონული პროკურორის თანაშემწეები – თ. წ.-რი და დ. ს.-ავა, რომლებიც ახორციელებდნენ საპროცესო მოქმედებებს გ. ც.-ძის მიმართ, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებებით (№...-პ, §... 12.08.2004; №...-პ, §... 12.08.2004) დათხოვნილი იყვნენ საქართველოს პროკურატურის ორგანოებიდან პირადი განცხადების საფუძველზე. იმავე თანამდებობის პირებმა 2004 წლის 13 აგვისტოს მიმართეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით გ. ც.-ძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების თაობაზე და მათ მონაწილეობა მიიღეს ხსენებული შუამდგომლობის სასამართლო განხილვაში, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა. კასატორისა და დიდი პალატის სხდომაზე პროცესში მონაწილე ადვოკატის აზრით, გენერალური პროკურორის ზემოხსენებული ბრძანებები წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებს, რომლებიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ძალაში შედის ხელმოწერისა და რეგისტრაციისთანავე, რადგან გენერალური პროკურორის მიერ გამოცემული ეს აქტები მიეკუთვნებიან იმ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების კატეგორიას, რომლის აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს

სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთასა და გახსნას, აგრეთვე, პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარის აზრით, საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, თ. წ.-რი და დ. ს.-ვა 2004 წლის 12 აგვისტოდან უფლებამოსილი არ იყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ გ. ც.-ძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, რის გამოც ამ საქმეზე მათი მონაწილეობით მიღებული ყველა საპროცესო აქტი არის უკანონო და ექვემდებარება გაუქმებას, ასევე მათ მიერ მოპოვებული ყველა მტკიცებულება არის დაუშვებელი. ასეთი დარღვევები, საქართველოს სსსკ-ის 562-ე და 563-ე მუხლების თანახმად, არსებითი ხასიათისაა და უპირობოდ იწვევს განაჩენის გაუქმებას, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

გარდა აღნიშნულისა, ადვოკატმა ზ. ნ.-ამ წარმოადგინა თავისი არგუმენტები და მოსაზრებები მსჯავრდებულ გ. ც.-ძის ბრალდების არსებით მხარესთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ სასამართლო კოლეგიის მიერ გ. ც.-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენი არათანმიმდევრულია სამართლებრივი ლოგიკის თვალსაზრისით, ასევე, იგი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია გ. ც.-ძის დამნაშავედ ცნობის ნაწილში. მისი აზრით, სასამართლო კოლეგიამ, ერთი მხრივ, სწორად უარყო გ. ც.-ძის მიმართ წარდგენილი ბრალდება იმ ნაწილში, რომლის მიხედვით ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – ბუპრენორფინის შემცველი პრეპარატი „სუბოტექსი“ (194 აბი) საზღვარგარეთიდან შემოიტანა საქართველოში, ვინაიდან შეუძლებელი იყო რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრები, განსაკუთრებით, გარკვეულ გარემოებათა გამო,ისა დაის საზღვრებზე გამკაცრებული სასაზღვრო და საბაჟო შემოწმების პირობებში, დაუბრკოლებლად გადაეკვეთა ხსენებული რაოდენობის ნარკოტიკებით, თანაც სპეციალურად მოწყობილი სამალავის გარეშე. ამასთან, ბრალდების მხარემ პრაქტიკულად ვერ წარმოადგინა რაიმე სარწმუნო მტკიცებულება და ასეთი მტკიცებულება ვერც სასამართლო გამოძიებით იქნა მოპოვებული, რომლითაც დადასტურდებოდა უტყუარად გ. ც.-ძის მიერში ან უცხოეთის სხვა სახელმწიფოში ნარკოტიკული საშუალების შექმნა, ავტომანქანაში შენახვა და ამ გზით საქართველოში შემოტანა. საკმარის მტკიცებულებათა არარსებობის გამო, ბრალდება იმ ნაწილში, რომლის მიხედვით, გ. ც.-ძემ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია), გათვალისწინებული დანაშაული, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ვარაუდისა და დაუდასტურებელი ეჭვის დონეზე, რის გამოც სასამართლო კოლეგიამ ეს ეჭვი მართებულად გადაწყვიტა განსასჯელის სასარგებლოდ და იგი გაამართლა ამ ბრალდებასთან მიმართებით.

ამასთან ერთად, ადვოკატმა ზ. ნ.-მ აღნიშნა, რომ, სრულიად ულოგიკოდ, იმავე სასამართლომ გ. ც.-ძე ბრალეულად ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, რისთვისაც არ არსებობდა კანონიერი საფუძველი, რამეთუ ამ შემთხვევაშიც ბრალდება მხოლოდ ვარაუდსა და დაუდასტურებელ ეჭვს ემყარება და არა სასამართლოში გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რასაც მოითხოვს საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლი. არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებით არის სარწმუნოდ დადგენილი, თუ საქართველოს ტერიტორიაზე გ. ც.-ძემ კონკრეტულად სად, როდის, ვისგან და რა ვითარებაში შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, თანაც – განსაკუთრებით დიდი ოდენობით, რაც განაჩენმა დადასტურებულად მიიჩნია. სასამართლო კოლეგიამ არც იმას მიაქცია

ყოფილება, რომ გ. ც.-ძის ავტომანქანაში ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგას, ჩხრეკაში მონაწილე პირების მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებებიდან გამომდინარე.

ადვოკატ ზ. ნ.-ას აზრით, სასამართლო კოლეგიას უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინა ის ფაქტი, რომ წარსულშიც იყო მცდელობა გ. ც.-ძისათვის დანაშაულის ჩადენის ბრალად შერაცხვისა, რაც მაშინ წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ ამით მისი უკანონო დევნა არ შეწყვეტილა, რამაც თავისი გაგრძელება ჰპოვა მოცემული ფაქტის სახით. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს განაჩენი გ. ც.-ძის მსჯავრდების ნაწილში არ ეფუძნება უტყუარ მტკიცებულებებს, რასაც ითხოვს საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ზ. ნ.-ამ დიდი პალატის წინაშე იშუამდგომლა იმის თაობაზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენი გაუქმდეს გ. ც.-ძის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მსჯავრდების ნაწილში, ხოლო მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, თანახმად საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა.

დიდი პალატის სხდომაზე პროცესში მონაწილე პროკურორმა რ. ჩ.-მა მხარი დაუჭირა პროკურორ ზ. დ.-ის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს და წარმოადგინა ბრალდების მხარის პოზიცია, რომლის მიხედვით, იგი არ დაეთანხმა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენს როგორც გ. ც.-ძის გამართლების, ისე მისი მსჯავრდების ნაწილში. მან აღნიშნა, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა დაცვის მხარის მოთხოვნა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში გ. ც.-ძის გამართლების თაობაზე იმ დაუსაბუთებელი მოტივით, რომ გ. ც.-ძემში ნაყიდი ავტომანქანით უპრობლემოდ გადაკვეთა რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრები, ხოლო 2004 წლის 10 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, კერძოდ, სარფის საბაჟოზე ჩატარებული ავტომანქანის სალონისა და საბარგულის შემოწებისას რაიმე სამალავი ან საეჭვო ნივთი აღმოჩენილი არ ყოფილა.

პროკურორ რ. ჩ.-ის აზრით, ასეთი მსჯელობა არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ც.-ძის ავტომანქანა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს საბაჟო შემოწმებისას არ გაჩხრეკილა, ხოლო საბაჟო შემოწმებისას ავტომანქანის სალონისა და საბარგულის მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით უკანა ფარის ბუდეში დამალული ნარკოტიკული საშუალება აღმოჩენილი ვერ იქნებოდა. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ უცხოეთში პრობლემას არ წარმოადგენს განუსაზღვრელი რაოდენობითა და ფრიად ხელმისაწვდომ ფასში პრეპარატ „სუბოტექსის“ შექმნა, რომელიც საქართველოში შავ ბაზარზე ძალზე ძვირია, რის გამოც გ. ც.-ძის მიერ ხსენებული რაოდენობით (194 აბი) „სუბოტექსის“ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნა, ავტომანქანით მისი გადაადგილების დროისა და ვითარების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორ რ. ჩ.-ს მიაჩნია, რომ სასამართლო კოლეგიას სავსებით საკმარისი და კანონიერი საფუძველი გააჩნდა გ. ც.-ძის საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის

მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებისათვის.

ამავე დროს, პროკურორმა რ. ჩ.-მა, გაიზიარა რა სასამართლოს პოზიცია მსჯავრდებულ გ. ც.-ძის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციის თაობაზე, აღნიშნა, რომ სრულიად უსაფუძვლოა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები იმის შესახებ, რომ მისი ავტომანქანიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებული 194 აბი „სუბოტექსი“ გ. ც.-ძეს არ ეკუთვნოდა, რომ ყველაფერი ეს მის წინააღმდეგ არის პროვოცირებული შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ, რაც გამოწვეულია მათთან გ. ც.-ძის კონფლიქტით, ამ უკანასკნელის სამსახურიდან დათხოვნასთან დაკავშირებით. მისი აზრით, უდავოდ დადასტურებული ფაქტია, რომ ნარკოტიკული საშუალება გ. ც.-ძის ავტომანქანიდან ამოღებულია კანონიერად ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, რომელსაც თვითონ მსჯავრდებულმა ესწრებოდა დამსწრეებთან ერთად და რაც ვიდეოფირზეც არის აღბეჭდილი. არც გ. ც.-ძე უარყოფს თავის ჩვენებებში აღნიშნულ ფაქტს, ხოლო დაცვის მხარის ვერსიები იმის თაობაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალება ხსენებულ ავტომანქანაში გ. ც.-ძისაგან დამოუკიდებლად, მოკლებულია დამაჯერებლობას. აქედან გამომდინარე, პროკურორი რ. ჩ.-ი სარწმუნოდ მიიჩნევს გ. ც.-ძის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნას, შენახვასა და გადაზიდვას; ამასთან, ყურადღებას მიაქცევს იმ საგულისხმო გარემოებაზე, რომ თვითონ გ. ც.-ძე არ არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი.

პროკურორი რ. ჩ.-ი არ ეთანხმება სასამართლო კოლეგიის განაჩენს სასჯელის ზომის განსაზღვრის ნაწილშიც, ვინაიდან მიაჩნია, რომ 12 (თორმეტი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და საშიშროების გათვალისწინებით, არის მეტად მსუბუქი და ღმობიერი, რაც ვერ უზრუნველყოფს სასჯელის პრევენციული მიზნების მიღწევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურორმა რ. ჩ.-მა დიდი პალატის წინაშე იშუამდგომლა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენის, გ. ც.-ძის როგორც გამართლების, ისე მისი მსჯავრდების ნაწილში, გაუქმებისა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ახალი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების თაობაზე.

დიდი პალატის სხდომაზე პროცესში მონაწილე პროკურორმა ვ. რ.-მა მხარი დაუჭირა პროკურორ ზ. დ.-ის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს, ასევე, პროცესში მონაწილე პროკურორ რ. ჩ.-ის მოთხოვნას და განმარტა შემდეგი:

გ. ც.-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საწყის ეტაპზე გამოძიებლის სტატუსით მონაწილეობდა მცხეთის რაიონული პროკურორის იმჟამინდელი თანაშემწე თ. წ.-ი, ხოლო ზოგიერთ საპროცესო მოქმედებაში ასევე მონაწილეობდა რაიონული პროკურორის ყოფილი თანაშემწე დ. ს.-ა. აღნიშნული პირები საქართველოს პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნილ იქნენ საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 12 აგვისტოს №...პ §... (თ. წ.-ი) და 2004 წლის 12 აგვისტოს №...პ §... (დ. ს.-ა) ბრძანებებით. დაცვის მხარის მტკიცებით, დასახელებული ადმინისტრაციული აქტები ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და აღნიშნული პრაქტიკა დამკვიდრებულია საქართველოს პროკურატურაში, ვინაიდან მათი დაუყოვნებლივ აღსრულების შეფერხებამ

შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის დასახელებული მოსაზრება მცდარია, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, რაც დასტურდება შემდეგ გარემოებებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით, კერძოდ: გენერალური პროკურორის მიერ გაცემული საკადრო სახის ადმინისტრაციული აქტები წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. აღნიშნული სახის ადმინისტრაციული აქტების გამოცემის უფლებამოსილება გენერალურ პროკურორს მინიჭებული აქვს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ხოლო ადმინისტრაციული აქტის მომზადება, გამოქვეყნება და ძალაში შესვლა განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე და 58-ე მუხლებში მოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების წესი, სახელდობრ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ამ სახის ადმინისტრაციული აქტის ძალაში შესვლის ორ ძირითად წესს: პირველი – გამოქვეყნება, მეორე – დადგენილი წესით აქტის მხარისათვის გაცნობა. ის, თუ როგორ და რა შემთხვევაში ხდება ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება, მოწესრიგებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაზღვრულია კანონით. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ დებულებებს გენერალური პროკურორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების თაობაზე, შესაბამისად, ამ სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალაში შესვლა დასახელებული გზით (გამოქვეყნება) არ ხდება. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს სურს, მისი აქტების გამოქვეყნება ხდებოდეს მოცემული წესის შესაბამისად, მას უნდა გააჩნდეს ოფიციალური ბეჭვდითი ორგანო, ან მისი არქონის შემთხვევაში, ისარგებლოს სხვა ოფიციალური ბეჭვდითი ორგანოთი, იმ პირობით, თუ აღნიშნული პროცედურები გაწერილი იქნება წინასწარ დადგენილი წესებით – ნორმატიული აქტით (იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი), ხოლო პროკურატურას არ გააჩნია ოფიციალური ბეჭვდითი ორგანო და არც მისი სხვა ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების დადგენილი წესები. ზემოაღნიშნული გარემოებები გამორიცხავს გენერალური პროკურორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებას, ანუ მის ძალაში შესვლის პირობებს პირველი წესის შესაბამისად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ძალაში შესვლის მეორე გზა, კერძოდ, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობა. აღნიშნული დეტალურად არის მოწესრიგებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით. „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს, მისთვის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გადაცემას ან ფოსტით გაგზავნას.“ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან საქართველოს პროკურატურა, არსებული ობიექტური ვითარების გათვალისწინებით, თუნდაც ამის სურვილის შემთხვევაში, მოკლებულია საშუალებას, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გამოცემისას გამოიყენოს ეგრეთ წოდებული პირველი ანუ გამოქვეყნების გზა, საკადრო შინაარსის

ბრძანებების (ადმინისტრაციული აქტების) დაინტერესებულ პირებამდე დაყვანა, შესაბამისად, აღნიშნული აქტების ძალაში შესვლა ხდება მეორე გზით, კერძოდ, ადმინისტრაციული აქტი ფოსტის მეშვეობით იგზავნება პროკურატურის იმ დაწესებულებაში, სადაც მუშაობს პროკურატურის ის მუშაკი, რომლის ინტერესებსაც ეხება ხსენებული ადმინისტრაციული აქტი, ხოლო შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ამ აქტის დაინტერესებული პირისათვის (პირებისათვის) გაცნობას. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ადმინისტრაციული აქტი ძალაში შედის მისი გაგზავნიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა, შესაბამისად, თუ ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღრესატამდე მივა დადგენილ ზღვრულ ვადაზე ადრე, მისი ძალაში შესვლა ხდება ამ აქტის მიღებიდან მეორე დღეს (იხ. შრომის კანონთა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი). რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილზე აპელირებას, უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ზღუდავს პირის კანონიერ ინტერესებს მის გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდე, ძალაში შედის მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოცემული დისპოზიცია არ მოიაზრებს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება აღნიშნული სახის ურთიერთობებზე არ ვრცელდება (იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). მოცემულ გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი: საქართველოს პროკურატურის ყოფილი მუშაკების – თ. წ.-ისა და დ. ს.-ს პროკურატურიდან დათხოვნა მოხდა რა საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 12 აგვისტოს №...-პ §... (თ. წ.-ი) და 2004 წლის 12 აგვისტოს №...-პ §... (დ. ს.-ა) ბრძანებებით, მოცემულ ადმინისტრაციულ აქტებში არ არის მითითებული, თუ როდის შედის ეს ადმინისტრაციული აქტები ძალაში (აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურორმა ვ. რ.-მა წარმოადგინა ბრძანებათა ქსეროასლები, რომლებიც დაერთო საქმეს). თ. წ.-ისა და დ. ს.-ას პროკურატურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების ასლები იმავე დღეს, 2004 წლის 13 აგვისტოს, გადაეცა საქართველოს გენერალური პროკურატურის აპარატის საქმის წარმოების სამმართველოს, აღნიშნული დოკუმენტაციის აღრესატისათვის გადაგზავნის მიზნით. დასახელებულმა სტრუქტურულმა ქვედანაყოფმა ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტების გადაგზავნა უზრუნველყო 2004 წლის 16 აგვისტოს (აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია პროკურორმა ვ. რ.-მა წარმოადგინა სასამართლო სხდომაზე და დაერთო საქმეს). ვინაიდან, 2004 წლის 14-15 აგვისტო იყო შაბათი-კვირა, მცხეთა-მთიანეთის პროკურატურაში თ. წ.-ისა და დ. ს.-ას პროკურატურიდან დათხოვნის ბრძანების ასლები შევიდა 2004 წლის 17 აგვისტოს. ამავე დროს მოხდა აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა. მეორე დღესვე, ესე იგი 18 აგვისტოს, თ. წ.-მა განცხადებით მიმართა იმჟამინდელ მცხეთის პროკურორ მ. ჯ.-ძეს მის წარმოებაში არსებული საქმეებისა და მასალების პროკურატურის სხვა მუშაკისთვის გადაცემის შესახებ იმ მოტივით, რომ იგი დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დასახელებულ გარემოებათა საფუძველზე დგინდება, რომ თ. წ.-სა და დ. ს.-ას უფლებამოსილება შეუწყდათ მათი დათხოვნის შესახებ ბრძანების მიღების მომდევნო

დღიდან, ანუ 2004 წლის 17 აგვისტოს მომდევნო დღეს (იხ. შრომის კანონთა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ თ. წ.-სა და დ. ს.-ას მიერ 2004 წლის 12-13 აგვისტოს ბრალდებულ გ. ც.-ძის მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები კანონიერია, ვინაიდან ისინი იმყოფებოდნენ კანონიერ უფლებამოსილებებში.

საბოლოოდ პროკურორმა ვ. რ.-მა დიდი პალატის წინაშე იშუამდგომლა გ. ც.-ძის მიმართ გასაჩივრებული განაჩენის მთლიანად გაუქმებისა და სისხლის სამართლის საქმის ახალი განხილვისათვის დაბრუნების, აგრეთვე, დაცვის მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები გ. ც.-ძის ბრალდების შესახებ, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, გ. ც.-ძე გაამართლა რა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) საფუძველზე წარდგენილ ისეთ ბრალდებაში, როგორცაა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში არაერთგზის შემოტანა, განაჩენში მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები ბრალდების მხარის იმ ვერსიის უტყუარად დადასტურებისათვის, რომლის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალება – „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის“ 194 აბი, რაც გ. ც.-ძის კუთვნილი ავტომანქანიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ,ის რაიონშიის საგუშაგოსთან, მის მიერ ნამდვილად საზღვარგარეთ, სახელდობრ,ში იქნა შექმნილი, რის შემდეგაც იგი რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრების დაუბრკოლებლად გავლით შემოიტანა საქართველოში. დიდი პალატა, იზიარებს რა სასამართლო კოლეგიის ასეთ პოზიციას, საკმარისად ვერ მიიჩნევს ბრალდების ამ ნაწილში სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივარში, აგრეთვე, დიდი პალატის სხდომაზე პროცესში მონაწილე პროკურორის მიერ წარმოდგენილ მოტივებს, რომელთა მიხედვით, საზღვარგარეთ პრეპარატ „სუბოტექსის“ თავისუფლად და ხელმისაწვდომ ფასში შექმნის შესაძლებლობა, საქართველოში ამ პრეპარატის ძალზე მაღალი ფასი, სახელმწიფოს საბაჟო საზღვარზე არაჯეროვანი კონტროლი რეალურ და უდავო საფუძველს წარმოადგენდა გ. ც.-ძის მსჯავრდებისათვის ხსენებული ბრალდების მიხედვით, ვინაიდან ასეთ პირობებში მას ნამდვილად შეეძლო ნარკოტიკული საშუალების საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოტანა. დიდი პალატის აზრით, ასეთი დასაბუთება, რომელიც, მტკიცების თვალსაზრისით, ვერ სცილდება ვარაუდისა და დაუდასტურებელი ეჭვის დონეს, არ შეიძლება საფუძველად დაედოს პირის მსჯავრდებას. გ. ც.-ძის ბრალდების საქმეში არ მოიპოვება თუნდაც არაპირდაპირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ მან ნარკოტიკული საშუალება ნამდვილადში ან სხვა რომელიმე უცხო სახელმწიფოში შეიძინა და იგი საქართველოს საბაჟო საზღვრის გავლით საქართველოში შემოიტანა. მით

უფრო, საერთოდ უსაფუძვლოა ბრალდება გ. ც.-ის მიერ ამ ქმედების არაერთგზის ჩადენის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით დიდი პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზე: საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაში, მართალია, პირდაპირ, ე.ი. ცხადად არ არის მითითებული ისეთი ნიშანი, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების შეძენის ადგილი, რომელშიც იგულისხმება არა უშუალოდ რომელიმე ადგილი, მაგალითად, უცხოეთის რომელიმე ქალაქი ან სხვა დასახლებული პუნქტი, არამედ ხსენებული ქმედების ჩადენა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ნებისმიერ ადგილზე, მაგრამ იგი წარმოადგენს მითითებული შემადგენლობის ფარულ და, ამასთან, აუცილებელ ნიშანს, რომლის გარეშეც ხსენებული დანაშაული არ არსებობს. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ქმედების ჩადენის ადგილის სარწმუნოდ დადგენას გ. ც.-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების ნამდვილად საქართველოს ფარგლებს გარეთ შეძენისა და საქართველოში შემოტანის უტყუარად დადასტურებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც დაცვის მხარის კანონიერ, საფუძვლიან მოთხოვნას წარმოადგენდა და იგი მართებულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენის დადგენისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც გ. ც.-ამ მტკიცებულებების უკმარისობის გამო გამართლებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში, კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

დიდმა პალატამ ყურადღებით განიხილა დაცვის მხარის მიერ თავის საკასაციო საჩივარში, ასევე, აღნიშნული საჩივრის დიდ პალატაში განხილვისას მოხმობილი არგუმენტები იმის თაობაზე, რომ გ. ც.-მ არ ჩაუდენია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა, რაც მდგომარეობს შემდეგში: არც წინასწარ გამოძიებას და არც სასამართლო გამოძიებას დაუდგენია მისგან ამოღებული ნარკოტიკული საშუალება გ. ც.-მ სად, როდის, ვისგან და რა ვითარებაში შეიძინა, რისი დადგენაც სავალდებულო იყო. თუკი ბრალდების მხარეს და სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნდათ, რომ გ. ც.-მ ნამდვილად შეიძინა, შეინახა და გადაზიდა ნარკოტიკული საშუალება, მაშინ საბრალდებო დასკვნითა და გამამტყუნებელი განაჩენით ისიც უნდა ყოფილიყო დადგენილი, თუ რა იყო ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი, რადგან აღნიშნული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ, რომელიც შესაბამის მოტივსა და მიზანს გულისხმობს. საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგას, ასევე, პოლიციის თანამშრომელთა მიერ 2004 წლის 11 აგვისტოს ჩატარებული გ. ც.-ის ავტომანქანის ჩხრეკის კანონიერება, რადგან შემდგომში, კერძოდ კი სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას, ხსენებულ ჩხრეკაში დამსწრედ მონაწილე კ. ჩ.-რმა და დ. თ.-მ, შეცვალეს რა წინასწარი გამოძიების დროს მათ მიერ მიცემული ჩვენებები, აღნიშნეს, რომ ჩხრეკის დროს ისინი იდგნენ გასაჩხრეკი ობიექტისაგან მოშორებით, რის გამოც თვალყური ვერ მიადევნეს იმ პირთა მოქმედებას, ვინც ჩხრეკას აწარმოებდა და არც ის დაუნახავთ, საიდან იქნა ამოღებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მათ წარმოუდგინეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლო კოლეგიამ საფუძვლად დაუდო გ. ც.-ის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის

260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ბრალდების ნაწილში, ვერ ჩაითვლება უტყუარად, ხოლო ბრალდება – დადასტურებულად, რის გამოც მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი ღებნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

წარმოდგენილი არგუმენტებიდან პირველ მათგანს დიდი პალატა ამჯერადაც ქმედების შემადგენლობის აუცილებელი და ფაკულტატიური ნიშნების საკითხთან მიმართებით განიხილავს. მოცემულ შემთხვევაში გ. ც.-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის ადგილი, დრო და ვითარება არ მიეკუთვნებიან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემადგენლობის აუცილებელ ელემენტებს, რომელთა გარეშე ეს ქმედება ვერ იარსებებდა. ხსენებულ გარემოებებს ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაკულტატიური მნიშვნელობა აქვთ და მათი დადგენა არ წარმოადგენს აუცილებლობას მითითებული სისხლისსამართლებრივი ნორმით ქმედების დაკვალიფიცირებისათვის. თვით ფაქტი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსის“ გ. ც.-ის კუთვნილი ავტომანქანიდან ამოღებისა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ გ. ც.-მ დაკავებამდე და ჩხრეკის ჩატარებამდე თავისი ავტომანქანით, რომელშიც ჩხრეკის შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება აღმოჩნდა, გადაადგილდებოდა დიდ მანძილზე –დან ქ. თბილისის მისადგომებამდე, დიდი პალატისათვის სარწმუნოს ხდის ვერსიას მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების შეძენის, შენახვისა და გადაზიდვის შესახებ, რადგან საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე რეალური საფუძველი სხვაგვარი ვერსიის განვითარებისათვის; ამასთან, სწორი კვალიფიკაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება მისი შეძენის გზასა, თუ საშუალებას ან წყაროს.

რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ წამოჭრილ ისეთ საკითხს, როგორცაა გ. ც.-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და მიზნის დაუზუსტებლობა საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ისეთ ქმედებასთან მიმართებით, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და გადაზიდვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მისი კვალიფიკაციისათვის კანონმდებელი განმსაზღვრელ მნიშვნელობას არ ანიჭებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა ამ ქმედებათა ჩადენის მოტივი და მიზანი, მიუხედავად იმისა, რომ მათი ჩადენა მხოლოდ განზრახ არის შესაძლებელი. აღნიშნულ გარემოებებს სისხლის სამართლის კანონმა განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიანიჭა სხვა შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც ნარკოტიკული საშუალება შეძენილია მცირე ოდენობით პირადი მოხმარების მიზნით (იხ. საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლი), ხოლო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქმედების მოტივისა და მიზნის კონკრეტულ შინაარსს, ამ ქმედების არსებობისა თუ არარსებობის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება, რის გამოც ამ მხრივ სასამართლოს მიერ გ. ც.-ის ქმედების კვალიფიკაცია სადავო ვერ გახდება.

დიდი პალატის აზრით, საფუძველს მოკლებულია დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში გამოთქმული მოსაზრებები 2004 წლის 11 აგვისტოს ჩატარებული გ. ც.-ის კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკის არაკანონიერების თაობაზე. მართალია, საქმის სასამართლოში განხილვისას თვით გ. ც.-მ, ასევე მოწმეებმა – კ. ჩ.-მა და დ. თ.-მემ რამდენადმე შეცვალეს თავიანთი ჩვენებები აღნიშნულ საპროცესო მოქმედებასთან მიმართებით, მაგრამ ჩხრეკაში მონაწილე სხვა პირების ჩვენებები, აგრეთვე ზემოხსენებული მოწმეებისა და

თვით გ. ც.-ის თუნდაც შეცვლილი ჩვენებებიც კი არააპირდაპირ, ჩხრეკის ოქმის შინაარსი და ჩხრეკით მოპოვებული ნივთმტკიცება ადასტურებს იმ უდავო ფაქტს, რომ 194 აბი „სუბოტექსი“ ნამდვილად გ. ც.-ის ავტომანქანაში იქნა ნაპოვნი. ჩხრეკის დამსწრეები – კ. ჩ.-რი და დ. თ.-ძე, მსჯავრდებული გ. ც.-ძე იმყოფებოდნენ უშუალოდ ჩხრეკის ჩატარების ადგილზე, მისი მიმდინარეობის მთელი დროის მანძილზე, რომლებსაც ხელს არაფერი უშლიდათ, ყველაფერი დაენახათ. ისინი არ აღნიშნავენ, რომ ჩხრეკაში მონაწილე პირთაგან ვინმემ მათზე რაიმე უკანონო ზემოქმედება მოახდინა, ან არ ეთანხმებოდნენ ჩხრეკის ოქმში შეტანილ მონაცემებს, არც ჩხრეკის ჩატარებისას მომხდარ რაიმე სხვა კანონდარღვევაზე მიუთითებენ, ხოლო ჩხრეკის ოქმის შედგენისას მასში შენიშვნების ან განცხადების შეტანა არ მოუთხოვიათ, რის გამოც დიდი პალატა მიიჩნევს, რომ არ მოიპოვება დასაბუთებული საფუძველი ჩატარებული ჩხრეკის შედეგების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენებისათვის.

რეალურ საფუძველსაა მოკლებული, აგრეთვე, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვერსია, რომლის მიხედვით სოფელდანმდე მგზავრობისას გ. ც.-ძეს, სხვადასხვა ადგილზე, გაჩერებული ჰყავდა თავისი ავტომანქანა მისი მეთვალყურეობის გარეშე, რა დროსაც შესაძლებელი იყო დაინტერესებულ პირებს მისთვის მანქანაში ჩაედოთ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შემდეგ ჩხრეკისას იქნა აღმოჩენილი. ამ ვერსიის სარწმუნოების დადასტურებისათვის დაცვას რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, ხოლო მხოლოდ ზეპირი განცხადება დიდი პალატის მიერ ვერ იქნება მიღებული დამაჯერებელ და ანგარიშგასაწევ არგუმენტად.

გარდა მითითებული არგუმენტებისა, რომლებიც საქმის სისხლის სამართლებრივ მხარეს შეეხებიან, როგორც აღინიშნა, დაცვის მხარის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე სხვა გარემოებაზეც, კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედებები, როგორცაა გ. ც.-ძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, მისი ბრალდებულად დაკითხვა, მისი დაპატიმრების მოთხოვნით შესაბამისი სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა და სასამართლოში ამ შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობა, განახორციელეს არაუფლებამოსილმა პირებმა, მცხეთის რაიონული პროკურორის თანაშემწეებმა – თ. წ.-მა და დ. ს.-ამ. 2004 წლის 12 აგვისტოს, როდესაც გ. ც.-ძის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე, აღნიშნული თანამდებობის პირები საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით უკვე დათხოვნილ იყვნენ პროკურატურის ორგანოებიდან მათივე პირადი განცხადების საფუძველზე. ამ გარემოებასთან მიმართებით ადვოკატმა ზ. ნ.-ამ აღნიშნა, რომ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე იერარქიით მაღლა მდგომი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი საკადრო საკითხებზე საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებასთან დაკავშირებით არ იცნობს, არ უთითებს და არ აწესრიგებს ვინმესთვის ამ ბრძანების გაცნობის რაიმე წესს მისი ძალაში შესვლისათვის. აქედან გამომდინარე, ხსენებული კასატორის აზრით, მოპოვებული ყველა მტკიცებულება ცნობილი უნდა იქნეს დაუშვებლად, ყველა საპროცესო მოქმედება – ბათილად, ხოლო გ. ც.-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და იგი გათავისუფლდეს უკანონო პატიმრობიდან.

ასეთი გადაწყვეტილების საფუძველად ადვოკატმა ზ. ნ.-ამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილით, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7, მე-8, მე-12, 562-ე და 564-ე მუხლებით გათვალისწინებულ

მოთხოვნათა დარღვევაზე როგორც საგამომიებო ორგანოების, ისე საქმის განმხილველი სასამართლოს მხრივ.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის ასეთ პოზიციას, რადგან ის დასაბუთება, რაც წარმოდგენილია ადვოკატ შ. ლ.-ის საკასაციო საჩივარსა და პროცესში მონაწილე ადვოკატის, ზ. ნ.-ას განმარტებაში, არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც მოცემულ სადავო საკითხს შეეხება. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დიდი პალატა განმარტავს: არც დაცვის მხარე და არც ბრალდების მხარე სადავოდ არ ხდიან იმ უეჭველ ფაქტს, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ საკადრო საკითხებზე გამოცემული ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს, რომლის გამოცემისა და ძალაში შესვლის წესები განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმებით, ვინაიდან „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში უშუალოდ არაფერია მითითებული ხსენებული საკითხების თაობაზე. ეს მოსაზრება გამომდინარეობს საქართველოს მოქმედ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში მოცემული შესაბამისი ნორმების ადეკვატური გაგებიდან, რაც ასევე განმტკიცებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის პრაქტიკით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ბს-713-300/კ-05/. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, 2006 წ., გვ. 101-113). საკითხი იმის თაობაზე მცხეთის რაიონული პროკურორის აწ უკვე ყოფილი თანამშემწეები – თ. წ.-ი და დ. ს.-ა 2004 წლის 12 და 13 აგვისტოს, როდესაც ისინი ბრალდებულ გ. ც.-ის მიმართ ახორციელებდნენ საპროცესო კანონით განსაზღვრულ საგამომიებო მოქმედებებს, იმყოფებოდნენ თუ არა კანონიერ უფლებამოსილებაში, თავის მხრივ, უკავშირდება პროკურატურის ორგანოებიდან მათი დათხოვნის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის 2004 წლის 12 აგვისტოს №...-პ №15 და №...-პ ბრძანებების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხს, რომელთან მიმართებითაც დიდი პალატა საგნებით იზიარებს და ეთანხმება პროკურორ ვ. რ.-ის იმ თვალსაზრისს, რომელიც მან წარმოადგინა დიდი პალატის სხდომაზე. დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციული აქტი, მათ შორის – საკადრო საკითხზე მიღებული აქტიც, ეს იქნება ბრძანება, თუ სხვა სახის აქტი, დროის გარკვეულ მომენტში იწყებს ამოქმედებას, კერძოდ, დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობის შემდეგ, თუკი, რა თქმა უნდა, თვითონ ამ აქტში სხვა რამ არ არის მითითებული მისი ამოქმედების ვადის შესახებ.

ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სავალდებულო ნორმაა, რადგან ოფიციალური გაცნობა წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის კანონიერების კრიტერიუმსა და, იურიდიული თვალსაზრისით, მისი ნამდვილობის განმსაზღვრელ წინაპირობას, რის გამოც, კანონის მართებული გაგების თანახმად, სწორედ ოფიციალური გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლება-მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

ამრიგად, საკითხი იმის თაობაზე თ. წ.-სა და დ. ს.-ას 2004 წლის 12-13 აგვისტოს გააჩნდათ თუ არა კანონიერი უფლებამოსილებები ბრალდებულ გ. ც.-ის მიმართ შესაბამისი საგამომიებო მოქმედებების განსახორციელებლად, უნდა გადაწყდეს იმისდა მიხედვით, თუ როდის მოხდა პროკურატურის ორგანოებიდან მათი დათხოვნის შესახებ საქართველოს

გენერალური პროკურორის 2004 წლის 12 აგვისტოს №...-პ №... და №...-პ №... ბრძანებების მათთვის ოფიციალურად გაცნობა.

როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, აღნიშნული ბრძანებების შესაბამისი ადრესატებისათვის ოფიციალური გაცნობა მოხდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და იმავე კოდექსის 58-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ, ეს ბრძანებები საქართველოს გენერალური პროკურატურის აპარატის საქმის წარმოების სამმართველომ 2004 წლის 16 აგვისტოს გადაგზავნა მცხეთის რაიონულ პროკურატურაში, სადაც ისინი შევიდა 2004 წლის 17 აგვისტოს და იმავე დღეს მოხდა თ. წ.-ისა და დ. ს.-თვის მათი ოფიციალური გაცნობა, რის გამოც, თანახმად საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილისა, მათ სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუწყდათ 2004 წლის 18 აგვისტოდან. განხილული გარემოებების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ 2004 წლის 12 და 13 აგვისტოს, როდესაც მცხეთის რაიონული პროკურორის თანაშემწეები – თ. -ი და დ. ს.-ა ბრალდებულ გ. ც.-ძის მიმართ ახორციელებდნენ საპროცესო კანონით განსაზღვრულ საგამოძიებო მოქმედებებს, ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებებში, რის გამოც ხსენებული საგამოძიებო მოქმედებები და ამ მოქმედებებთან დაკავშირებით მათ მიერ მიღებული საპროცესო აქტები არის კანონიერი და ბათილად ისინი ვერ ჩაითვლება.

ამასთან ერთად, დიდ პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია დაცვის მხარის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს გენერალური პროკურორის ზემოაღნიშნული ბრძანებები ძალაში შესულად და ამოქმედებულად უნდა ჩაითვალოს მათი ხელმოწერისთანავე, ვინაიდან აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს ოფიციალურ გაცნობამდეც, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. კასატორ შ. ლ.-ძის აზრით, მოცემული შემთხვევა სწორედ ასეთია, ვინაიდან გენერალური პროკურორის ბრძანებები დაკავშირებული იყო თ. წ.-ისა და დ. ს.-ას საპროცესო მოქმედებებთან, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ბრალდებულ გ. ც.-ძის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე.

განხილულ შემთხვევასთან მიმართებით დაცვის მხარის მიერ მოწოდებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის ასეთი ინტერპრეტაცია აშკარად მცდარია, ვინაიდან იმავე ნორმის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ, განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდება, რაც აუცილებლობით იმასაც გულისხმობს, რომ ამის შესახებ თვით იმავე ადმინისტრაციულ აქტში უნდა იყოს მითითებული. სრულიად კანონზომიერია ისიც, რომ არც „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და არც რომელიმე სხვა კანონშია აღნიშნული, რომ საკადრო საკითხებზე საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ გამოცემული ბრძანება მისი ხელმოწერისთანავე დაუყოვნებლივ შედის ძალაში. ამავე დროს, ადმინისტრაციულ აქტში, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა ამოქმედდეს, იგულისხმება ისეთი აქტი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება რაიმე გარემოებით წარმოქმნილ საგანგებო ვითარებას, დანაშაულის გახსნისა ან აღკვეთისაკენ უშუალოდ მიმართულ ღონისძიებებს, ანდა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ხელყოფისაგან დროული დაცვის აუცილებლობას. ცხადია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება ამა თუ იმ მუშაკის თანამდებობაზე დანიშვნისა, თუ სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე ასეთ ადმინისტრაციულ აქტად ვერ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დიდი პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ც.-ძის ბრალდების საქმეში არ მოიპოვება ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი იქნებოდა პროკურორ ზ. დ.-ისა და ადვოკატ შ. ლ.-ძის მიერ ამ საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილება. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ საქმე განხილულია სრულად და ობიექტურად, განაჩენი არის დასაბუთებული გ. ც.-ძის როგორც გამართლების, ისე მსჯავრდების ნაწილში, ხოლო სასჯელის ზომა მის მიმართ განსაზღვრულია სამართლიანად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვით. ამდენად, არ არსებობს საფუძველი აღნიშნული სასამართლო კოლეგიის მიერ 2005 წლის 8 ნოემბერს მსჯავრდებულ გ. ც.-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენის შეცვლისა ან გაუქმებისათვის, რის გამოც იგი უნდა ჩაითვალოს კანონიერად და დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ, იხელმძღვანელა რა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9-მე-10 მუხლებით, საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მცხეთის რაიონული პროკურორის მოადგილის – ზ. დ.-ისა და მსჯავრდებულ გ. ც.-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ლ.-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 8 ნოემბრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ც.-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

დიდი პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.